# საქართველოს პრეზიდენტის
# ბრძანებულება

**N 623 2004 წლის 29 დეკემბერი ქ.თბილისი**

## ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

ბოლო წლებში ადამიანით ვაჭრობამ (ტრეფიკინგმა) გლობალური მასშტაბები შეიძინა. ცივილიზებული ქვეყნები სულ უფრო აქტიურად ეწინააღმდეგებიან მონობის ამ თანამედროვე ფორმას, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას, დანაშაულს მისი პატივისა და ღირსების წინააღმდეგ.

საქართველო გმობს ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს). აუცილებლად მიგვაჩნია რა ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, ამ დანაშაულის და მისი ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით:

1. დამტკიცდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების თანდართული სამოქმედო გეგმა.

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, შეიქმნას საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისია.

3. საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გ.ბეჟუაშვილმა ამ ბრძანებულების ამოქმედებიდან ერთ თვეში დასამტკიცებლად წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისიის დებულება და შემადგენლობა.

4. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს პრიორიტეტული წესით განიხილოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირების საკითხები.

5. ეთხოვოთ საქართველოს სახალხო დამცველს და საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული დავალებების შესრულებასა და მონიტორინგის განხორციელებაში.

6. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (ს.ზურაბიშვილი) მიმართოს საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებს და უცხო ქვეყნების დიპლომატიურ მისიებს შესაძლებლობის ფარლებში მხარი დაუჭირონ საქართველოს სახელმწიფოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებაში.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2003-2005 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 17 იანვრის N15 ბრძანებულება.

8. ამ ბრძანებულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელების კონტროლი დაევალოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს (გ. ბეჟუაშვილი).

*მიხეილ სააკაშვილი*

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2004 წლის 29 დეკემბრის
N 623 ბრძანებულებით

## ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმა

| ამოცანა | მიზანი | სტრატეგია | შემსრულებელი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1. ადამიანის ტრეფიკინგის ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად შრომითი მიგრაციის საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება | შრომითი მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი სახელშეკრულებო ბაზის მომზადება, საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ამოქმედება | 1. "შრომითი მიგრაციის შესახებ" კანონპროექტის შემუშავება და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა | - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | 2005 წლის პირველი კვარტალი |
| | | 2. რეადმისიის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების შემუშავება და შესაბამის ქვეყნებთან მოლაპარაკების წარმართვა | - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 2005 წლის თებერვალი; 2005-2006 წლების განმავლობაში |
| | | 3. მიმღებ ქვეყნებთან ორმხრივი ხელშეკრულებების შემუშავება ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებისათვის ლეგალური შრომის სამართლებრივი გარანტიების შექმნისა, მათ შორის სამუშაო ადგილების კვოტების გამოყოფის შესახებ | - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 2005-2006 წლების განმავლობაში |
| | | 4. წინადადებების შემუშავება "ყველა შრომითი მიგრანტის და მათი ოჯახების წევრების უფლებათა დაცვის შესახებ" გაეროს კონვენციასთან მიერთების შესახებ | - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | 2005 წლის თებერვალი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 5. ტრეფიკინგის პრობლემასთან დაკავშირებული საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების სრული ნუსხის მომზადება და წინადადებების შემუშავება აღნიშნულ დოკუმენტებთან საქართველოს მიერთების შესახებ<br><br>6. ანალიტიკური ანგარიშების მომზადება საქართველოდან სამუშოდ გასული მიგრანტების მდგომარეობის და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, წინადადებების შემუშავება მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით | - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br><br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005 წლის პირველი კვარტალი<br><br>2005-2006 (არანაკლებ სამ თვეში ერთხელ) |
| 2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფა | ადამიანის ტრეფიკინგთან ბრძოლის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა | 1. მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის შესახებ” კანონპროექტის განხილვისა და მიღების უზრუნველყოფის მიზნით<br><br>2. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარე- | - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო<br>- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (დაინტერესებული საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით)<br><br>- საქართველოს იუსტიციის სამინის- | კანონპროექტის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში<br><br>2005 წლის პირველი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების პროექტების შემუშავება სხვადასხვა ფირმის მიერ დასაქმების, გაცნობის, ტურიზმის, სწავლის, საშუამავლო საქმიანობის განხორციელების შეთავაზებისას მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად | ტრო<br>- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | ნახევარი |
| | | 3. ცვლილებებისა და დამატებების შემუშავება საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულებზე იურიდიულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღების მიზნით | - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაწილეობით) | 2005 წლის განმავლობაში |
| | | 4. ცვლილებებისა და დამატებების შემუშავება "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულებზე მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინების მიზნით | - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაწილეობით) | 2005 წლის განმავლობაში |
| 3. არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება | 1. არალეგალური შრომითი მიგრაციის და ტრეფიკინგის რისკის შემცირება საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების გზით | 1. შრომითი მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე საზოგადოების ოპერატიული ინფორმირების უზრუნველსაყოფად საქართველოს დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებში შესაბამისი "ცხელი ხაზების" შექმნა და შეუფერხებელი მუშაობის უზ- | - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს | 2005-2006 წლების განმავლობაში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | რუნველყოფა, ოპერატორების მომზადება | იუსტიციის სამინისტრო<br>- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო<br>- საქართველოს გენერალური პროკურატურა<br>(დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | |
| | 2. სასკოლო პროგრამებში ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მოსახლეობის ფართო ფენებისათვის | 1. საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებათა დაგეგმვა და ჩატარება, ინფორმირება საზღვარგარეთ მუშაობისა და სწავლის არსებული ლეგალური საშუალებების შესახებ | - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br>(დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005-2006 პერიოდულად |
| | | 2. საქართველოს საპასპორტო-სავიზო სამსახურების, სასაზღვრო-გამშვები პუნქტებისა და საკონსულო დაწესებულებების უზრუნველყოფა დასარიგებელი საინფორმაციო მასალებით საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ ლეგალური მუშაობის და ტრეფიკინგის თავიდან აცილების შესახებ | - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>(დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005-2006 წლების განმავლობაში |
| | | 3. ტრეფიკინგის პრობლემასთან დაკავშირებული სპეციალური ტრენინგების ჩატარება სახელმწიფო სტრუქტუ- | - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br>- საქართველოს გენერალური პროკუ- | 2005-2006 (ექვს თვეში ერთხელ) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | რებში არსებული მიზნობრივი ჯგუფებისათვის: მოსამართლეებისათვის, საკონსულო სამსახურის თანამშრომელთათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის თანამშრომელთათვის, მესაზღვრეებისათვის, სოციალური მუშაკებისათვის, ჯანდაცვის სფეროს მუშაკებისათვის, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლებისათვის | რატურა<br>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>(საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | |
| | | 4. ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხების შეტანა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამაში, შესაბამისი პროფილის პედაგოგების მომზადება და გადამზადება | - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005 წლის სექტემბრამდე |
| 4. არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის მასშტაბების შეფასება | არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის შესახებ სრული საინფორმაციო სურათის შექმნა | 1. არალეგალური შრომითი მიგრაციის ორგანიზებასა და ხელშეწყობაში, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულებზე დამნაშავე პირთა ერთიან მონაცემთა ბაზის (საინფორმაციო სამსახურის) ფორმირება | - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს გენერალური პროკურატურა | 2005 წლის მე-2 ნახევარი |
| | | 2. მე-4.1 პარაგრაფით გათვალისწინებული ბაზის შექმნისა და გამოყენების წესისა და პირობების შემუშავება, საქართველოს კანონ- | - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამი- | 2005 წლის პირველი კვარტალი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მდებლობის მოთხოვნა-<br>თა გათვალისწინებით | ნისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთე-<br>ლობის და სოცია-<br>ლური დაცვის სამი-<br>ნისტრო<br>(დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | |
| | | 3. წარმოშობის, ტრან-<br>ზიტისა და დანიშნულე-<br>ბის ქვეყნებთან ინფორ-<br>მაციის გაცვლის სისტე-<br>მის შემუშავება, ამ ქვეყნებთან რეგულა-<br>რული კონტაქტების და თანამშრომლობის გარ-<br>ღმავება (ან ხელშეკრუ-<br>ლებების დადება), ტრე-<br>ფიკინგის ფაქტების თა-<br>ვიდან აცილების, მსხვერპლთა წარმოშო-<br>ბის ქვეყანაში დაბრუნე-<br>ბის და მათი უსაფ-<br>რთხოების უზრუნველ-<br>ყოფის მიზნის გათვა-<br>ლისწინებით | - საქართველოსში-<br>ნაგან საქმეთა სა-<br>მინისტრო<br>- საქართველოს სა-<br>გარეო საქმეთა სა-<br>მინისტრო<br>(დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005 წლის განმავლო-<br>ბაში |
| | | 4. ტრეფიკინგის დანაშა-<br>ულების თვალსაზრისით მომატებული რისკის ქვეყნებში მოქმედ სა-<br>ქართველოს დიპლომა-<br>ტიური წარმომადგენ-<br>ლობების თანამშრო-<br>მელთა უფლებამოსილე-<br>ბაში ამ პრობლემების გათვალისწინება | - საქართველოს სა-<br>გარეო საქმეთა სა-<br>მინისტრო<br>- საქართველოს ში-<br>ნაგან საქმეთა სა-<br>მინისტრო | 2005 წლის ბოლომდე |
| 5. ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და რე-<br>აბილიტაცია | ტრეფიკინგის მსხვერპლთათ-<br>ვის მხარდაჭრის სისტემის შემუ-<br>შავება და ამოქ-<br>მედება, კანონ-<br>მდებლობაში, პოლიტიკაში და დახმარების სამსახურებში არსებული ხარ-<br>ვეზების იდენტი-<br>ფიცირება | 1. ადამიანის ტრეფიკინ-<br>გთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიე-<br>ბის პროცესში შს ორგა-<br>ნოების და პროკურატუ-<br>რის თანამშრომელთა ქცევის წესების (ეთიკის კოდექსის) შემუშავება და დანერგვა, ამ სფე-<br>როში არსებული საერ-<br>თაშორისო სტანდარტე-<br>ბიდან გამომდინარე | - საქართველოს ში-<br>ნაგან საქმეთა სა-<br>მინისტრო<br>- საქართველოს გე-<br>ნერალური პროკუ-<br>რატურა<br>(დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005 წლის თებერვალი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რისკ-ჯგუფების გენდერულ თავისებურებათა გათვალისწინებით | | | |
| | | 2. წინადადებების შემუშავება ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მომსახურების სისტემის შექმნის შესახებ | - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005 წლის პირველი ნახევარი |
| | | 3. მე-5.2 პარაგრაფით გათვალისწინებული სოციალურ-ფსიქოლოგიური მომსახურების სისტემის ამოქმედება, მსხვერპლთა სრული ანონიმურობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით | - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005 წლის მე-2 ნახევარი |
| | | 4. წინადებების შემუშავება ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ერთი ან რამდენიმე თავშესაფრის (შელტერის) შექმნის და ამ მიზნით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში აუცილებელი თანხის გათვალისწინების შესახებ | - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005 წლის ბოლომდე |
| | | 5. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის უფასო ანონიმური სამედიცინო დახმარებისა და რეაბილიტაციის უზრუნველყო- | - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 2005 წლის პირველი ნახევარი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ფა (ჯანდაცვის არსებული პროგრამების ფარგლებში)<br><br>6. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და მოწმეებისათვის სამართლებრივი დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, უფასო საადვოკატო დახმერების უზრუნველყოფის ჩათვლით | <br><br>- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით) | <br><br>2005 წლის პირველი ნახევარი |
| 6. არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება | არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მაკოორდინირებელი და სპეციალიზირებული აღმასრულებელი ორგანოების არსებობისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა | 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი დამოუკიდებელი ქვედანაყოფების შექმნა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა | - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | 2005 წლის პირველი კვარტალი |
| 7. არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი | წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლი, მოცემულ სფეროში არსებული პრობლემების გამოკვეთა და ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება მათ დასაძლევად | 1. ტრეფიკინგის პოტენციალურ მსხვერპლთა იდენტიფიცირების ინდიკატორების დადგენა, შემდგომში ტრეფიკინგის პრევენციის ზომების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით | - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005 წლის თებერვალი |
| | | 2. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისათვის ინფორმაციების წარდგენა საანგარიშო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ | - საქართველოს გენერალური პროკურატურა<br>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს | 2005-2006 (ყოველი წლის დეკემბერი) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | იუსტიციის სამინისტრო<br>- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br>(არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | |
| | | 3. მე-7.1 პარაგრაფით გათვალისწინებული ინფორმაციების განხილვა და აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსათვის შესაბამისი მოხსენების მომზადება | - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005-2006 (ყოველი წლის დეკემბერი) |
| | | 4. არალეგალური შრომითი მიგრაციის და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი ჩაბმა მონიტორინგის პროცესში უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მოძიებისა და არსებული პრობლემების მოგვარების გზების ერთობლივი განსაზღვრის მიზნით | - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2005-2006 წლების განმავლობაში |
| | | 5. გაეროში ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის საწინააღმდეგო კონვენციისა შესახებ სახელმწიფო მოხსენებების მომზადება ტრეფიკინგის და სექსუალური ექსპლუატაციის პრობლემის გათვალისწინებით | - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) | 2006 წლის ივლისი |
| | | 6. მონიტორინგის პროცესისა და შედეგების გამჭვირვალობისა და | - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს | 2005-2006 წლების განმავლო- |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შესაბამისი ინფორმაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის გამოყენებით. | აპარატი (დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაწილეობით). | ბაში |